საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 520

2023 წლის 28 მარტი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2023 წლის 24 მარტის N-MES 5 23 0000339514 კორესპონდენციის გათვალისწინებით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 90-ე მუხლის, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ'' აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლისა და ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ'' აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ბრწყინვალებისა და ქართული ქორეოგრაფიის ამაგდარის ორდენოსანის - დავით აფხაზავას დაკრძალვის ხარჯების დასაფარავად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან გამოეყოს 5 000 (ხუთი ათასი) ლარი და მატერიალური დახმარების სახით გადაეცეს გარდაცვლილის ოჯახს.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ (ჯ. ფუტკარაძე) უზრუნველყოს შესაბამისი მიზნობრივი დაფინანსება.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ (მ. ხაჯიშვილი) უზრუნველყოს ბრძანებით გამოყოფილი თანხის მიზნობრივი განკარგვა.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

თორნიკე რიჟვაძე

1948-02-2-202303281119
https://edocument.ge/AdjaraGov/public